ქალაქისაკენ

წავალ – იფიქრა, და ამ ფიქრთან გრიგალმა უმალ
სიცოცხლის ახლო გაიარა წყნარად, იდუმალ.

ის გამოვიდა ძლიერ ადრე, ვით სიყვარული –
მთვარიან ტყეზე მიდიოდა გზა დაცვარული.

ბური ოცნებას სიხარული გადადნობია,
გარშემო ტყეა, ზევით ვრცელი ცის ტატნობია.

ყვითელ ხაზების სინაზეში სულ ნელი ქარის
ნელი სიგრილის მოქროლებით მიმოიჩქარის.

უცებ გამოჩნდა ქვაფენილთა და სახლთა ლანდი,
ყველას მიესწრო: "ერთადერთი მე დავგვიანდი.

ცხელმა ქალაქის ქვაფენილმა მე ვერ მიშველა,
შუადღის მტვერში როს უქუდო და ფეხშიშველა

მივდიოდი და გამწარებით ვიმტვრევდი თითებს,
ვინ გაგიგონებს, ვინ მოგხედავს, ვინ დაგამშვიდებს

მაინც აღმომხდა: დედამიწავ, ო, მერამდენეჯერ
უნდა დავემხო, გეამბორო, რომ ასე შემჭერ

ჩემთვის უცნობ და მიუღებელ ცხოვრების ზვავში
ოდესმე ნაზი, ზამბახივით უღრუბლო ბავშვი.

ო, მერამდენედ უნდა გითხრა კიდევ მადლობა
ცისკრისთვის, რასაც დილის ჰქვია მოსინათლობა;

იარებისთვის, ჩემს დასისხლულ ფეხს რომ აჩნია,.
ყგელაფრისათვის, რაც არა მაქვს, რაც გამაჩნია.

ჩემო ძვირფასო დედამიწავ, ძვირფასო დედა,
მხოლოდ შვილურმა სიყვარულმა აქ მომახედა.

პირქვე ვემხობი, ვიყრი მუხლებს და ასე ვამბობ:
გმადლობ, დედაო, ყველაფრისთვის უზომოდ გმადლობ

რომ აშრიალდნენ ჩონგურები, როგორც ტყეები,

მიტოვებული, დავიწყებით სავსე ტყეები:

რომ მიჰყავს სიმთა ოქროს ნავებს სიმსუბუქეში
ჩამავალ მზეთა ნაყოფიერ მინდვრის ნუგეში.

რად მინდა, გავყვე შენს ეთერის უბეში ტრიალს
იქ, სადაც ქარი თავისუფალს მღერის ხეტიალს.

მივალ უცნობ და მიუღებელ ცხოვრების ზღვაში,
ოდესმე ნაზი, ზამბახივით უღრუბლო ბავშვი."

ბური. ოცნებას სიხარული გადადნობია,
გარშემო ტყეა, ზევით ვრცელი ცის ტატნობია.